KA030153475607019

№ 01-7130 **16 / ივლისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

მინისტრის მოადგილის
თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის № 437 დადგენილებით დამტკიცებული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების მიზანია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის ხელშეწყობა, რეფერირების პროცედურების კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით. აღნიშნული დადგენილება განსაზღვრავს სხვადასხვა სტრუქტურის პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) მიმართულებით. ამასთან, დადგენილების მე-5 მუხლის მე-11 პუნქტი ითვალისწინებს სამედიცინო სერვისების მიმწოდებლების (მათ შორის, სოფლის ექიმების) ვალდებულებას რეფერირების კუთხით. კერძოდ, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენისას ისინი ვალდებულნი არიან, გაანალიზონ შემთხვევა და, საფუძვლიანი ეჭვის გაჩენისას, დაუყოვნებლივ უზრუნველყონ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირება, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყონ შემთხვევის სწორი მართვა. ამავდროულად, აქტუალურია, ექიმის მიერ განხორციელებული ღონისძიებების პაციენტის სამედიცინო (ამბულატორიულ და სტაციონარულ) დოკუმენტაციაში ასახვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულად ჩაითვალა „ბავშვის მიმართ ძალადობის/სექსუალური ძალადობის დოკუმენტირების“ ფორმის მომზადება და „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 15 აგვისტოს № 01-41/ნ და „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანებებში ინტეგრირება.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მომზადდა „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის № 108/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებების პროექტები.

წარმოდგენილი პროექტების მიხედვით, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, ბავშვთა მიმართ ძალადობის მსხვერპლი პაციენტის ამოცნობა/შეფასების და შესაბამისი დოკუმენტირების უზრუნველყოფის მიზნით, პაციენტის მიერ მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური, სექსუალური და/ან სხვა სახის ძალადობის ფაქტის გამჟღავნებისას და/ან საეჭვო დაზიანებების, ძალადობასთან ასოცირებული კლინიკური სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, პაციენტის გასინჯვის ფურცელთან ერთად შეავსოს „ბავშვის მიმართ ძალადობის/სექსუალური ძალადობის დოკუმენტირების“ ფორმა.

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას წარმოდგენილ ბრძანებების პროექტებთან დაკავშირებით.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, დოკუმენტების დამტკიცების მიზნით პროცედურების განხორციელება.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია